სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 მაისი, 2024 წ

ბრძანება N 01-02/57

2024-2025 სასწავლო წლისთვის რუანის ნორმანდიის უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს სტუდენტების გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, „Erasmus+“ საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (01.05.2024 წლის №491371) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2024-2025 სასწავლო წლისათვის „Erasmus+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში რუანის ნორმანდიის (საფრანგეთი) უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობაში მონაწილე **ბსუ-ს სტუდენტთა გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**
   ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება ელექტრონულ ბმულზე https://registration.bsu.ge და სტუდენტური პორტალის მეშვეობით 2024 წლის 02 მაისიდან - **14 მაისის ჩათვლით, 15:00 საათამდე;**
   ბ) საბუთების შემოწმება და შეფასება - **2024 წლის 14 მაისი, 17:00 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი);
   გ) ტესტირება/გამოცდა უცხოურ ენებში (ინგლისური B1/B2, ფრანგული B1/B2) - **2024 წლის, 15 მაისი, 11:00 საათი,** საგამოცდო ცენტრი, №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12 (უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);
   დ) გასაუბრება შესარჩევ კომისიასთან - 2024 წლის 16 მაისი;
   ე) ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტებისათვის - არაუგვიანეს 16 მაისისა.
2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორი;
ბ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
გ) მარინე გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
დ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ერაზმუს+ კოორდინატორი ბსუ-ში;
ე) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
ვ) ნათია აბაშიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესითა“ და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში